

პროფესიული სტუდენტის ეთიკის კოდექსი

კოლეჯი “არსის” პროფესიული სტუდენტი ვალდებულია მოიქცეს ეთიკის კოდექსის დაცვით:

1. სტუდენტი თავაზიანია მასწავლებლებელთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობაში.
2. სტუდენტი ემორჩილება დირექტორისა და პედაგოგის კანონიერ მითითებებს.
3. სტუდენტი თავაზიანია სხვა სტუდენტებთან ურთიერთობაში;
4. პატივს სცემს სხვების აზრის გამოხატვის, რელიგიურ და სინდისის თავისუფლებას.
5. ეხმარება ინკლუზიური საჭიროების მქონე პირს გადაადგილებასა თუ სხვა საჭირო ქმედების განხორციელებაში.
6. სტუდენტი დროულად ცხადდება სასწავლო-საწარმოო მეცადინეობაზე ან სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე.
7. მეცადინეობაზე ყოფნისას სტუდენტს აქვს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ნივთები.
8. სტუდენტი გამოსატყუარებს აზრებს და შეხედულებებს სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
9. სტუდენტი ხელს არ უშლის პედაგოგს და სხვა სტუდენტებს სასწავლო-საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას.
10. სტუდენტი არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
11. სტუდენტი არ ტოვებს მეცადინეობას პედაგოგის ნებართვის გარეშე.
12. სტუდენტი უფროსილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სასწავლებლის ქონებას.
13. სტუდენტი იცავს სისუფთავეს სასწავლებელში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

დასჯადი ქცევები

1. უფლებამოსილი პერსონალის კანონიერი მითითებისადმი დაუმორჩილებლობა.
2. სასწავლო პროცესში გამოვლენილი უდისციპლინობა/სასწავლო პროცესის ჩაშლის მცდელობა.
3. სხვათა მორალური თუ ფიზიკური შეურაცხყოფა.
4. სასწავლებლის კუთვნილი მატერიალური ფასეულობის დაზიანება.
5. ნარკოტიკული ნივთიერებების და ალკოჰოლის მოხმარება-გავრცელება.

დისციპლინური ღონისძიებები

გადაწყვეტილებას დასჯადი ქცევების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ხასიათისა და სანქციის შესახებ იღებს დირექტორი. დასჯადი ქმედების სირთულის ხარისხის პირდაპირპროპორციულად შესაძლებელია განისაზღვროს შემდეგი სანქციები:

1. გაფრთხილება
2. წერილობითი საყვედური
3. ფულადი ჯარიმა /სასწავლებლის კუთვნილი ქონების დაზიანების შემთხვევაში/
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება.

პედაგოგის ეთიკის კოდექსი

კოდექსი “არსის” პედაგოგი ვალდებულია მოიქცეს ეთიკის კოდექსის დაცვით:

პროფესიული კომპეტენტურობა

1. პედაგოგი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელია.
2. პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობითა და ეთიკის კოდექსის ნორმებით.
3. პედაგოგი ხელს უწყობს სტუდენტებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების განვითარებას.
4. პედაგოგი თავისი პროფესიული საქმიანობისას სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითს აძლევს სტუდენტებს.
5. პედაგოგი თავისი საქმიანობისას ყოველთვის პუნქტუალურია.
6. პედაგოგი ეფექტურად იყენებს სასწავლო-საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილ დროს, პროფესიული სტანდარტების მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო მიზნების მისაღწევად.
7. უფრთხილდება სასწავლებლის ქონებას და მიზანმიმართულად იყენებს სასწავლო-საწარმოო რესურსებს.
8. პედაგოგი არ იყენებს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიებს პირადი მიზნებისათვის.
9. პედაგოგი ზრუნავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.

სტუდენტებთან ურთიერთობა

1. პედაგოგი ითავსებს სტუდენტის მრჩეველის ფუნქციას სასწავლო-საწარმოო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაღებად და სტუდენტის სურვილის შემთხვევაში ეხმარება მას პირადი პრობლემების მოგვარებაში.
2. პედაგოგი არ აყენებს სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას.
3. ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს სტუდენტთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.
4. პედაგოგი სასწავლო-საწარმოო პროცესის განმავლობაში ზრუნავს სტუდენტის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოების დაცვაზე.
5. სტუდენტებთან ურთიერთობის დროს იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.
6. პატივს სცემს სტუდენტთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იღებებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.
7. პედაგოგი არ ეწევა სტუდენტებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
8. პედაგოგი არ იყენებს სტუდენტის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის.
9. თანაბარ ყურადღებას იჩენს ყველა სტუდენტის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიური, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს, რომ ყველა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად.

დირექციასთან და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებთან ურთიერთობა

1. პედაგოგი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა სასწავლებლის დირექციას და სასწავლებელში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებისა.
2. პედაგოგი უზიარებს შექნილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს.
3. პედაგოგი თანამშრომლობს სასწავლებლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სასწავლებლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.